პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთების 46-ე წელი. № 197 (13282) | შაბათი, 21 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

200.000 ტონა ხილეული

გათუმელთა სიტყვა

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). ბათუმელმა მეჩაიეებმა წლიური გეგმით 8.211 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. მოკრეფილია 7.500 ტონაზე მეტი. რაიონის მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულონ და წილს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ასობით ტონა ჩაის ნედლეული.

საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები

დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები. უახლოეს დროში კრებები გაიმართება ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. იმაზე, თუ როგორ განიხილავენ კომუნისტები მუშაობის შედეგებს და თავიანთი ძოძაღლის მოცანებს, ვის აირჩევენ ბიუროების, პარტკომების წევრებად, მდივნებად, ბევრად არის დამოკიდებული პირველადი პარტორგანიზაციების შემდგომი საქმიანობა, მათი გავლენა მშრომელთა კოლექტივებში, საბუთარნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ბოლოდროინდელ წელს საანგარიშო-საარჩევნო კრებები ეწყობა ხელსაყრელ ვითარებაში, რაც შეეშნენ საკა ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმებმა, რომელთა გადაწყვეტილებებს კომუნისტები და მთელი ხალხი დიდი ალმაცლობით შეხვდნენ. ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმებმა ეკონომიკის ხიბლი შეიტანეს პარტიის ცხოვრებაში, ალადგინეს ხელმძღვანელობის ლენინური სტილი, მოსწავლებლენ დიდი-ნაშენელოვან შემობრუნებას მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიური ლიტერაციაკენ, კიდევ უფრო აამაღლეს პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების როლი.

ეკონომიურ და შინაპარტიულ საკითხებზე პარტიის გადაწყვეტილებათა კეთილსაყოფიერი გავლენით უმჯობესდება პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობა, იზრდება კომუნისტების აქტივობა და თვითმოქმედება. ყველ პირველი კრებები, რომლებიც მოეწყო ბელორუსიაში, სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის ოლქებში, ბაზაბოსა და სხვა ადგილებში, გვიჩვენებენ, რომ კომუნისტები თავიანთ საქმიანობას განიხილავენ იმ ახალი, უფრო ადალი მოთხოვნების მიხედვით, რომლებსაც ახლა პარტია უყენებს პირველად პარტორგანიზაციებს, ყოველმხრივ და მოთხოვნელად მსჯელობენ იმაზე, თუ რა და როგორ კეთდება კონკრეტული საბუთრნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენი ქვეყნის წარმატებები ყალიბდება ათასობით და ათასობით მშრომელთა ოლექტივის, მილიონობით ხალხოთა ადამიანის წარმატებებისაგან. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ალ ხაზოგადოებრივი ურთიერთობის ამოყალიბება, ახალი ადამიანის აღზრდა — ეს რთული ამოცანები თვითეულ კოლექტივში წყდება. და წყდება მით უფრო წარმატებით, რაც უფრო აქტიურად მოქმედებენ მასში კომუნისტები, რაც უკეთ უჭერს მხარს და ავითარებს პარტიული ორგანიზაცია მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, რაც უფრო მაღალია მისი ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე.

თავიანთი კოლექტივების ცხოვრება და შრომა, მათი წარმატებანი და ნაკლოვანებანი კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უნდა განიხილონ პარტიისა და ხალხის დიადი მიზნებისა და მთავარი ამოცანების შესაბამისად. საარჩევნელო საწარმოების, საპროიექტო ორგანიზაციების, საკონსტრუქტორო ბიუროების, იმ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პირველად პარტიული ორგანიზაციებში, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან წარმოებასთან, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს წარმოების განვითარების ძირეული საკითხები, სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება. და ეს კანონზომიერია, რადგან პარტიის წევრთა სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა იმით, თუ როგორ მონაწილეობენ ისინი კომუნისტური მშენებლობის გადამწყვეტი ამოცანის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის განხორციელებისათვის ბრძოლაში. განაზოგადებენ რა შეძენილ გამოცდილებას, კომუნისტებმა კრიტიკულად, უყოყოჩოდ და უტრაბახოდ უნდა შეაფასონ მიღწეული წარმატებანი, გაბედულად გამოვლინონ შეცდომები და ნაკლოვანებები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად. მათი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების ზრდის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ტექნიკური დონის ამაღლების პრობლემები.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომუნისტებს თავიანთი დიდი საზრუნავი აქვთ. მათ უნდა შეაჯამონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაწეული მუშაობის პირველი შედეგები, ღრმად გაერკვნენ იმაში, თუ რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს, რათა უფრო სრულად გამოიყენონ ხელსაყრელი ეკონომიური პირობები მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მათი თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების ყველა დარგის რენტაბელობის მიღწევისათვის.

თავიანთი კოლექტივების პირველი რიგის საქმეებსა და ამოცანებს მიაქცევენ უყურადღებას პარტიული ბიუროების, კომიტეტების, მდივნების ანგარიშების განხილვის დროს საბჭოთა, სამეცნიერო, საშეურნეო და სხვა დაწესებულებებისა და სასწავლებლების კომუნისტები. მაგრამ როგორც უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან პარტიული ორგანიზაციები მუშაობის პირობებითა და ხასიათით, ყველას აქვს საერთო უმნიშვნელოვანესი ამოცანა — იზრუნონ ადამიანებისათვის, განავითარონ მასების შემოქმედებითი საქმიანობა, საზოგადოებრივი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა. ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ადამიანთა ყოფა-ცხოვრებასთან, მათი შრომისა და ცხოვრების პირობებთან, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ღირსეულად უნდა აისახოს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

ПРАВДА

20 აგვისტოს მოწინავე

კრებებზე უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიკავოს იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების საკითხებმა. კომუნისტებმა ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთონ თავიანთი ორგანიზაციების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის მდგომარეობას, გამოავლინონ ნაკლოვანებანი და იბრძოლონ კოლექტივზე იდეური გავლენის ყველა ფორმის სრულყოფისათვის. პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ ჩამოუყალიბოს ადამიანებს მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, ჩაუნერგოს მათ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. უწინარეს ყოვლისა უნდა ვიფიქროთ, როგორ მოვაწყოთ უკეთ კომუნისტების პარტიული სწავლა, იდეურ-თეორიული წრთობა. მარქსისტულ-ლენინურმა სწავლამ სკკპ თვითეულ წევრსა და წევრობის კანდიდატს, მთელ ჩვენს კადრებს უნდა გამოუმუშაოს მაღალი კომუნისტური რწმენა: იდეური პრინციპულობა, პარტიული მებრძოლურობა. ხელი შეუწყოს კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში.

ჩვენი პარტიისა და მისი ორგანიზაციების ძალაა კომუნისტთა აქტივობა. თვითეული პირველადი ორგანიზაციის ავტორიტეტი კოლექტივში და გავლენა მასებზე, მისი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის დონე განისაზღვრება არა მარტო იმით, თუ როგორ მოქმედებენ ბიუროო, პარტკომი ან მდივანი, არამედ იმითაც, თუ როგორ მუშაობს და როგორ იქცევა თვითეული კომუნისტი. ამიტომ საჭიროა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე პარტიის წევრებმა გამოიჩინონ მაღალი მომთხოვნელობა არა მარტო თავიანთი არჩეული ორგანოებისადმი, არამედ აგრეთვე ურთიერთმომთხოვნელობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და პარტიისადმი. დე, საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა სერიოზულად დაიფიქროს თვითეული კომუნისტი იმაზე, თუ როგორ ამართლებს იგი ლენინური პარტიის წევრის მაღალ წოდებას.

პარტიის საქმისათვის, მისი პროგრამის, მისი პოლიტიკის განხორციელებისათვის, იმ უბანზე, სადაც იგი მუშაობს, საქმის მდგომარეობისათვის თვითეული კომუნისტის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. კრებებზე და კრებებისათვის მზადების დროს საფუძვლიანად უნდა გაეერკვეთ, თუ რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს თვითეულ ორგანიზაციაში, რათა გაძლიერდეს კომუნისტების, განსაკუთრებით ახალგაზრდა კომუნისტების, იდეური აღზრდა და პარტიული წრთობა, რათა უზრუნველეყოფილ იქნას სკკპ წესდების მოთხოვნათა განუხრელი შესრულება, ახალ წევრთა მიღების საკითხების სწორად გადაჭრა. უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიისათვის მთავარია არა საერთოდ ახალი წევრების მიღება, არამედ მისი რიგების შევსება კომუნიზმის საქმისათვის ნამდვილი მებრძოლებით. თვითეული კომუნისტი მოვალეა ამაღლებდეს თავის ავანგარდულ როლს წარმოებაში, აქტიურად მონაწილეობდეს პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყოს კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის დაცვის მაგალითი.

უნდა ვიფიქროთ, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე სერიოზული ყურადღება მიექცევა იმას, რომ თვითეულ ორგანიზაციაში შეიქმნას კომუნისტების აქტივობისა და ინიციატივის ამაღლებისათვის საჭირო პირობები. ცნობილია, რომ პარტიის წევრი მაშინ გრძნობს თავს პარტიის საქმის სრულფუფლებიან მონაწილედ, როცა მას ანგარიშს უწევენ, მის აზრსა და კრიტიკულ შენიშვნებს ყურს უგდებენ, როცა პარტიულ ორგანიზაციაში სუფევს ამხანაგური ატმოსფერო, რომლის დროსაც შეიძლება თავისუფლად განხილულ იქნას საკითხები, რომლებიც კომუნისტებს აღელვებს, და პარტიული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად გადაიჭრას ისინი.

არ შეიძლება თვალი ავარიდოთ იმას, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში ვხვდებით შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევას, შემცირებულია პარტიული კრებების როლი, სუსტად არის განვითარებული კრიტიკა და თვითკრიტიკა, არის შემთხვევები, როცა ლიბერალურად უდგებიან პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ბორკილ დამრღვევებს, იჩენენ ლმობიერებას სკკპ იმ წევრებისა და წევრობის კანდიდატებისადმი, ვისი საქმეებიც შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან. გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო ამ მოვლენებს, რომელიც დიდ ზიანს აყენებს პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტს, კომუნისტების აღზრდას.

კრებების უაღრესად პასუხსაგები ამოცანაა პარტიული ბიუროს, კომიტეტის თუ მდივნის არჩევნები. საჭიროა ჩვენი პარტიული წესების შესაბამისად უზრუნველვყოთ თვითეული კანდიდატურის თავისუფალი და საქმიანი განხილვა. აღმასრულებელ ორგანოებში უნდა აირჩიოთ პოლიტიკურად მომწიფებული, გამოცდილი, მომზადებული ამხანაგები, რომლებსაც უნარი შესწევთ შეაკავშირონ კომუნისტები, უნარიანად ააგონ პირველადი ორგანიზაციის მრავალმხრივი საქმიანობა.

მორიგ საანგარიშო-საარჩევნო კრებებს შეუფარდდება წარმომადგენელთა დელეგირება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებში. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი მთელი ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განუყოფელი ნაწილია. და ხელშემწყობ საგუშაგოებსა და ჯგუფებში წარმომადგენელთა დელეგირებას. ისევე როგორც მათს მუშაობას მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ.

ანგარიშგება და არჩევნები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების მოვალეობაა იზრუნონ, რომ კრებებმა ორგანიზებულად ჩაიაროს, რომ კრებებზე მაღალი პარტიულობის, პრინციპულობის, მომთხოვნელობის ვითარება იყოს. ეს ხელს შეუწყობს სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში პირველადი პარტორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომ გაძლიერებას.

ᲥᲠᲔᲤᲔᲜ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ“

სპანეთის პიტალო კლდეები თავს დაჭყურებს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას. იქვე მოქუხს დაუდეგარი ენგური. სწორედ ენგურის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე აქვთ ლიელებს სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ტყე. საითაც გაიხედავთ, სიამოს მოგანჭვნთ ჩაის ხავერდოვანი პლანტაციებით დაჭარგული გორაკები, ბაღ-ვენახები, კოხტად ნაგები ორსართულიანი ოდა-სახლები.

მუდამ ლამაზი იყო ეს სოფელი, მაგრამ წინათ სასიხარულო არაფერი ჰქონდათ ილაჯგაწყვეტილ მცხოვრებლებს. ლუკმაპურის საშოვნელად სხვაგან გარბოდნენ. სულ სხვანა ახლა ლია. ერთი საშუალო, რვაწლიანი და ორი დაწყებითი სკოლა, აფთიაქი, ფოსტა, კინოსტაციონარი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, საავადმყოფო, სამი ბაბებიო პუნქტი, — აი რა ამკობს ახლა ამ სოფელს.

ამ უკანასკნელ 4-5 წლის განმავლობაში აშენდა ორსართულიანი კლუბ-კინოთეატრი, ბბანო, პალურის უბანში — კლუბი, 5 ელექტროწისქვილი, წყარო ანკარა წყალი გადაიყვანეს სოფლის ცენტრში, — პირველ, მეორე და მეთორმეტე ბრიგადებში. დამთავრდა სოფლის ელექტროფიკაცია.

ზუგდიდიდან ენგურჰესის კაშხალის მშენებლობისაკენ მიმავალი ფართო მოასფალტებული გზატკეცილი ჯერ ამ სოფელში შეგიყვანს, მერე ზემო სვანეთისაკენ მიიკლაკნება.

დილით ადრე ვეწვივეთ ლიელებს. კანტორასთან შეგვხვდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ბემთია. იგი ჩაის პლანტაციებში აპირებდა წასვლას.

— შ. ბემთია 4 წელზე მეტია ლიის კოლმეურნეობა „თბილისელი“ თავმჯდომარედ მუშაობს.

წლითიწლობით ამრავლებენ წარმატებებს „თბილისელები“. 1961 წელს კოლმეურნეებს შრომადღეზე 1 მანეთი და 60 კაპიკი გადაუნწილეს, 1962 წელს — 2 მანეთი და 90 კაპიკი, 1963 წელს — 3 მანეთი და 80 კაპიკი, ხოლო 1964 წელს 4 მანეთი და 30 კაპიკი.

თუ 1964 წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა 737.082 მანეთს მიაღწია, წელს იგი 800 ათას მანეთს გადააჭარბებს. ასე აქვთ გადაწყვეტილი „თბილისის“ მშრომელებს.

თავმჯდომარესთან ერთად პლანტაციებში ვნახეთ მკრეფავები, რომლებიც მასობრივად გამოსულიყვნენ ჩაის საკრეფად.

— თავისი საქმე კარგად იცის თვითეულმა მკრეფავმა, — თქვა ამბ. შ. გეთიამ, — მათ არ სჭირდებათ ჩვენი გაფრთხილება. დილით ადრე გამოდიან სამუშაოდ. საქმეც კარგად მიდის. 245 ჰექტარი პლანტაციიდან 185 ჰექტარი სრულმოსავლიანია. შარშან ჰექტარზე მივიღეთ 4 ტონა და 150 კილოგრამი ნაცელად 3.890 კილოგრამისა. წელს საშუალოდ მოსავლიანობას 4.500 კილოგრამამდე ავიყვანთ და მოვკრეფთ 800 ტონა ნედლეულს.

ბ. ნოდია.

სურათზე: წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კოლმეურნეობა „თბილისის“ მოწინავე ახალგაზრდა მეჩაიე ნარმანა სამუშია (მარცხნივ). კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ბემთია და მეჩაიე სულიკო სამუშია პლანტაციაში.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲘ

— **მცხეთის** რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შესასრულეს სახელმწიფოსათვის ხორბლისა და ქერის მარცვლის საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. კავთიაშვილმა**, რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარემ **ბ. ლაშხმა** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ა. რაზმაძემ.** გეგმით გათვალისწინებული 210 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 387 ტონა ხორბლისა და ქერის მარცვალი, ანუ გეგმა შესრულებულია 180 პროცენტით.

მცხეთელებმა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 804 ტონა კურკოვანი ხილი ნაცვლად 610 ტონისა.

რაიონის მეცხოველეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.063 ტონაზე მეტი რძე ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 1.062 ტონისა. წლიური გეგმით სახელმწიფოსთვის უნდა მიეყიდათ 196.000 ცალი კვერცხი, მიყიდულია 200.000 ცალი. სახელმწიფოსთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲗᲘᲗᲑᲕᲐ

მარნეულის რაიონში გეგმით უნდა გაეთიბათ 3.768 ჰექტარი ბუნებრივი და ნათესი ბალახები, უკვე გათიბულია 4.150 ჰექტარზე მეტი. ბოლნისელებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ბალახების თიბვის დავალება. გათიბეს 2.816 ჰექტარზე მეტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.096 ჰექტარისა.

წალკის რაიონში 15.231 ჰექტარი მთლიანად გათიბულია. დუშეთის რაიონის მშრომელებმა 15.800 ჰექტარზე მეტი ბუნებრივი და ნათესი ბალახები გათიბეს, გეგმა კი 10.585 ჰექტარს ითვალისწინებდა. თიბვის დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს თელავის, საბარათიოს, ბურჯაანის, თელავის რაიონებმა.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — ᲡᲝᲤᲔᲚᲡ

რუსთავი. (საკ. კორ.). ქიმიურ კომბინატს სამართლიანად უწოდებენ დიდი ქიმიის ფლაგმანს. კომბინატის შესასვლელშიევე გაკრულია ლოზუნგი „მივეცეთ სოფლის მეურნეობას მეტი მინერალური სასუქი“. ეს ლოზუნგი თვითეული ქართველი ქიმიკოსის საბრძოლო ამოცანაა. მათ სახასელოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქ შვიდი თვის გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული, როგორც ამონიუმის სულფატის, ისე ამიაკური გვარჯილის წარმოებაში.

ქიმიურ კომბინატში სისტემატურად ინერგება ახალი, მოწინავე, პროგრესული. სულ ახლახან აქ აითვისეს ამონიუმის სულფატის ახალი სახე, რითაც არა მარტო ამ პროდუქციის გამოშვება გაიზარდა, არამედ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მეორე იშვიათი ქიმიური პროდუქციის — კაპროლაქტამის წარმოების გაზრდისთვისაც.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲘ

ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატს ახალი ხაამქროები და განყოფილებები ემატება. მიმდინარეობს მუყაოს ფაბრიკის მშენებლობა. რეკონსტრუქციის ხარჩოებშია თბოელექტროცენტრალის განყოფილება.

სახალხო მოხმარების საგნების ფაბრიკაში ამ დღეებში დამონტაჟდა მაღალი სიხშირის ელექტროდენის აგრეგატი.

ახალმა აგრეგატმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩაიბარა და საექსპლოატაციოდ გადაეცა. უახლოეს დღეებში გათვალისწინებულია დაიდგას მეორე ასეთი აგრეგატი, რომელიც წარმოებას წლიურად 15 ათას მანეთ მოგებას მისცემს.

ი. ფაცაცია.

ᲐᲚᲤᲝᲜᲡ ᲛᲐᲡᲐᲛᲒᲐ-ᲓᲔᲒᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის გენერალური მდივანი ალფონს მასამბა-დება და მისი თანმხლები კონგოს სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი 19 აგვისტოს იყვნენ პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი ს. ვ. რუმიანცევი. მან აღნიშნა, რომ ახლა უნივერსიტეტში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების 3.600 სტუდენტი სწავლობს. მათი 30 პროცენტზე მეტი აფრიკელი ახალგაზრდობაა.

სტუმრებს მიესალმნენ აგრეთვე კონგოს, ნიგერიისა და სხვა ქვეყნების სტუდენტები.

ალფონს მასამბა-დებამ გულითადი მადლობა გადაიხადა გულთბილი მისალმებისათვის.

20 აგვისტოს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიქოიანი ესაუბრა ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის გენერალურ მდივანს ალფონს მასამბა-დებას.

გულახდილი მეგობრული საუბრის დროს მათ კვლავ გაუზიარეს ერთმანეთს აზრები ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 20 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში მოაწყვეს დარბაზობა ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის გენერალური მდივნის ალფონს მასამბა-დებას პატივსაცემად.

საპატიო სტუმრად ერთად დარბაზობაზე იყვნენ მისი თანმხლები სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეები, აგრეთვე ბრაზავილის კონგოს ელჩი სსრ კავშირში ამბელ ტოლეი-განგა.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ გ. ი. ვორონოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. გ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი და სხვები.

სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ი. მიქოიანმა და ალფონს მასამბა-დებამ წარმოთქვეს სიტყვები. (საკდესი).

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

20 აგვისტოს მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში გაიმართა მოსკოვის შრომელთა წარმომადგენლების სახეიმო კრება. იგი მიეძღვნა რუმინელ მშრომელთა დიდ დღესასწაულს — ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 21 წლისთავს.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ს. პოლიანსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. მათთან ერთად იყვნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნიკოლაე გუინე და სხვა რუმინელი ამხანაგები.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. გორშკოვმა. მოხსენება — სახელოვანი წლისთავი — გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა. (საკდესი).

ᲓᲠᲝᲨᲐ — ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ანგარიშზე უკვე ირიცხება 22 ათასი ტონა ზეგეგმითი სათბობი. ყველა შახტი საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს სათბობის მოპოვების სახელმწიფო დავალებას.

ყველაზე მეტად კი დაწინაურდა უძველესი მიწისქვეშა საწარმოს — პირველი შახტის კოლექტივი, რომელსაც ახლახან შეესრულდა არსებობის 30 წელი. 8.000 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი — ასეთი მაჩვენებლებით ხვდება ეს სახელოვანი კოლექტივი მეშახტეთა საკავშირო დღეს.

მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი შახტის კოლექტივს (უფროსი რ. ბოცვაძე, პარტბიუროს მდივანი დ. მირცხულავა, საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. პლაუნენ) გადაეცა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მშენებლთა შორის დიდ წარმატებებს მიაღწია ტყვარჩელშახტმშენის სამმართველოს კოლექტივმა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

მეორე კვარტალში კარგი მუშაობისათვის პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომისა ბრონეულ ბანერებ

1966 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲙᲕᲐᲘᲡᲔᲚ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

კვაისა. („კომუნისტის“ კორ.). კვაისის მაღაროებში სულ უფრო წარმატებით ვითარდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ტყვია-თუთიისა და ბარიტის კონცენტრატის მეტი რაოდენობით გამოსაშვებად. შეჯიბრების მიმდინარეობისას მაღაროელებს და საწარმოებში ინერგება ტექნიკური სიახლენი, შრომის ნაყოფიერება შეუნელებლად იზრდება, პროდუქციის ხარისხი უმჯობესდება.

ტყვია-თუთიის გამამდიდრებელ ფაბრიკაში ახლახან დაინერგა კონცენტრატის მისაღები ახალი რეაგენტის — კაპროლაქტამის წარმოების ნარჩენების გამოყენება, რაც ბევრად უფრო იაფი უჯდება მაღაროთსამმართველოს, ვიდრე წინა რეაგენტი, ე. წ. ფაფლოტაციო ზეთი უჯდებოდა. ეს რეაგენტი კვაისელებს შემოჰქონდათ ამონიერკარპატის ოლქიდან, ხოლო ახლა უკეთესი ხარისხის საჭირო რეაგენტი რუსთავიდან მოსდით. მარტო ამ გზით მაღაროთსამმართველო ყოველთვიურად 2.000 მანეთი ეკონომიას იღებს.

ამავამად კვაისელი მაღაროელები უკვე 1966 წლის ანგარიშში იძლევიან პროდუქციას. მაღაროელებმა გადაწყვიტეს მომდინარე წლის ბოლომდე მოამავალი წლის ანგარიშში ამოიღონ და დანიშნულებისამებრ გაგზავნონ რამდენიმე ასეულ ათასი მანეთის ტყვია-თუთიის კონცენტრატი და ბარიტი.

ვ. ანტონიკი.

* * *

სურათზე: კვაისის მოწინავე მაღაროელები (მარჯვნიდან მარცხნივ) მნგრეველი ნ. ფუხაევი, ინჟინერ-გეოლოგი კუ. სანაკოევი, უბნის უფროსი ი. ტასოევი და ცვლის უფროსი ს. თანდელოვი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — ᲡᲝᲤᲔᲚᲡ

რუსთავი. (საკ. კორ.). ქიმიურ კომბინატს სამართლიანად უწოდებენ დიდი ქიმიის ფლაგმანს. კომბინატის შესასვლელშიევე გაკრულია ლოზუნგი „მივეცეთ სოფლის მეურნეობას მეტი მინერალური სასუქი“. ეს ლოზუნგი თვითეული ქართველი ქიმიკოსის საბრძოლო ამოცანაა. მათ სახასელოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქ შვიდი თვის გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული, როგორც ამონიუმის სულფატის, ისე ამიაკური გვარჯილის წარმოებაში.

ქიმიურ კომბინატში სისტემატურად ინერგება ახალი, მოწინავე, პროგრესული. სულ ახლახან აქ აითვისეს ამონიუმის სულფატის ახალი სახე, რითაც არა მარტო ამ პროდუქციის გამოშვება გაიზარდა, არამედ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მეორე იშვიათი ქიმიური პროდუქციის — კაპროლაქტამის წარმოების გაზრდისთვისაც.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲘ

ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატს ახალი ხაამქროები და განყოფილებები ემატება. მიმდინარეობს მუყაოს ფაბრიკის მშენებლობა. რეკონსტრუქციის ხარჩოებშია თბოელექტროცენტრალის განყოფილება.

სახალხო მოხმარების საგნების ფაბრიკაში ამ დღეებში დამონტაჟდა მაღალი სიხშირის ელექტროდენის აგრეგატი.

ახალმა აგრეგატმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩაბარა და საექსპლოატაციოდ გადაეცა. უახლოეს დღეებში გათვალისწინებულია დაიდგას მეორე ასეთი აგრეგატი, რომელიც წარმოებას წლიურად 15 ათას მანეთ მოგებას მისცემს.

ი. ფაცაცია.

ᲛᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

მეოთხე დღეა საქართველოში ი

კარტიული ცხოვრება

ადამიანზე ზრუნვა უმაღლესი კანონია

ადამიანის ყოფაცხოვრება მჭიდროდ კავშირშია მის შრომასთან, განწყობილებასთან. ადამიანის ბინიდან, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებიდან პირდაპირი ძაფია გაბმული დაზგამდე, სახვრეველამდე, ხარაჩოამდე, ლაბორატორიამდე. თუ მუშის ბინაში წყალი ჩამოდის, სასადილოში უგემურ კერძებს აკეთებენ, ბანაო-სპარეკმახერობა რიგები და სინთეზატორა, თუ ატელიე-სახელოსნოში უხეირო კოსტიუმი ან ფეხსაცმელი შეუკერეს, — ყველაფერი ეს მოქმედებს ადამიანის განწყობაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე და, პირიქით, თუ მას გულისხმიერად, თავაზიანად უმსახურებიან, შრომაც სახალისო და ნაყოფიერია.

მარგანეცის ქალაქის — ჭიათურის მშრომელები სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობენ. ისინი შვიდწლედისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დგანან და წარმატებით შრომობენ დიდასამშობლოს ეკონომიური ძლიერების განსამტკიცებლად. ამაში მათ ძალის მატებს უმაღლესი კანონი — პარტიის ზრუნვა ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

მაღაროელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება ჭიათურის საყოფაცხოვრებო სამმართველოს, მისი პარტიული ორგანიზაციის ძირითადი საზრუნავია. სწორედ ამ საკითხზე იმსჯელეს კომუნისტებმა, რომლებიც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე შეიკრიბნენ.

მოხსენებით გამოვიდა პარტიბიუროს მდივანი გ. პაპიძე. მართალია, სამმართველომ საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის დავალება შეასრულა, მაგრამ ცალკეულ დარგებში არასასურველი სურათია. ფეხსაცმლის შეკერვა-შეკეთების შვიდი თვის დავალება 85 პროცენტით შესრულდა, მოსახლეობის ავეჯის შეკეთებისა კი მხოლოდ 54 პროცენტით. კრებაზე ერთობ ცოტა ითქვა პროდუქციის ხარისხზე, თუმცა ხელოსნების ნახელავი ყოველთვის როი ბრწყინავს. და საკმაო ხშირად გაისმის სამართლიანი საყვედურები მათი მისამართით.

როგორც აღინიშნა, პროდუქციის ხარისხზე იშვიათად მსჯელობდნენ სამმართველოს კომუნისტები, ხოლო როცა ეს საკითხი განუხილავთ, მას გარკვეული შედეგი არ მოჰყოლია. იყო შემთხვევა, რომ ხელოსნებმა ნ. ზაბახიძემ, ი. მელიქოვმა, ა. ხოტოველმა, დ. ალხაზოვმა, თ. ხვედელიძემ, ბ. კვიციანაძემ დაკვეთები უკვალოდ მიიღეს. სამწუხაროდ, ასეთთა შორის აღმოჩნდა ტანსაცმლის მკერავი, კომუნისტი ბ. სარალიძეც. მართალია, მათ საყვედურები გამოეცხადათ, მაგრამ ხელოსნებში მაინც მაგრად არის ფეხმოდგმული კერძომესაკუთრული ტენდენციები, რომელთა აღმოფხვრისათვის ნაკლებად იყენებენ აღმზრდელობითსა და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებებს.

სამკროებსა და ხელოსნებს შორის ოთხეულს გამლილია შეჯიბრება, სამმართველო ზესტაფონელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, მაგრამ მოუწესრიგებელია შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა და საჯაროობა. წელს არ შეუმოწმებიათ, ვინ გამიმარჯვა შეჯიბრებაში და საპატიო დიპლომზეც საკმაოდ მოძველებული ფოტოსურათებია გამოფენილი.

პარტიულ კრებაზე საკმაოდ მკაცრად ითქვა, რომ საბარიკმახერო, საავეჯო-სარემონტო საამქრო ჭატად ცუდ ბინაშია მოთავსებული, იქ ს

საერთაშორისო ცხოვრება

□ დღესასწაულის შესახვედრად □ უნგრეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა □ მეგობრობის ერთთვიური □ გამოფენა „ტექნიკა-65“ □ სასარგებლო სემინარი □ ხალხური შემოქმედების დათვალიერება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან რუმინეთის განთავისუფლების 21 წლისთავის წინ ტელუკის მაღაროში ამოღებულია მე-40.000-ე ტონა ზეგეგმით რკინის მადანი. მაღაროელებმა, რომლებიც დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯიბრებაში ორიან ჩაბმული, ვადამდე შეასრულეს რვა თვის გეგმა.

დიდი შრომითი წარმატებების ცნობები მოდის რუმინეთის ყველა კუთხიდან. რუმინეთი ბევრ ზეგეგმითს პროდუქციას მიიღებს იუბილეთათვის.

ახლა მთელ რესპუბლიკაში იმართება წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები.

ბუდაპეშტი გამოქვეყნდა ცნობა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც 18 აგვისტოს გაიმართა. ცნობაში ნათქვამია, რომ იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა, აგრეთვე მშრომელთა მეცადინეობით მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში. სამრეწველო წარმოების მატების 85 პროცენტზე მეტი მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. ამის იმის მეოხებით მიაღწიეს, რომ მრეწველობის მეტწილ დარგებში გადაასინჯა ნორმები, გაუმჯობესდა მუშაობა მუშახელის გამოყენებისათვის, განმტკიცდა შრომის დისციპლინა.

ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო მზადება ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციული ერთთვიურისათვის. ერთთვიური დაიწყება 7 ნოემბერს — დიდი ოქტომბრის 48-ე წლისთავის დღეს და დამთავრდება 12 დეკემბერს — საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების 22-ე წლისთავის დღეს.

ერთთვიურის მთავარ ღონისძიებებში შედის ლექციები, მოხსენებები და საუბრები იმის შესახებ, თუ როგორია საბჭოთა ხალხის მიღწევები კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლაში სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირებისათვის, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი თანადგომლობის შესახებ.

„**ტექნიკა-65**“ — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც ლაიფციგის ბაზრობის ერთ-ერთ პავილიონში გაიხსნა. გამოფენა ასახავს ახალ ტექნოლოგიურ მეთოდებსა და ნოვატორობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — ლითონდასამუშავებელი მრეწველობის წარმოების ორგანიზაციაში. სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შედეგლების მოწინავე მეთოდები, პლასტიკების გამოყენება და ბევრი სხვა.

ულან-ბატორში გაიმართა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობისადმი მიძღვნილი სემინარის დასკვნითი სხდომა, რომელიც აქ მოაწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად. ორი კვირის განმავლობაში აზიისა და შორეული აღმოსავლეთის 12 ქვეყნის წარმომადგენლები იხილავდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში ქალთა მონაწილეობის საკითხს და იმსჯელეს ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია ქალის როლის ამაღლება საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ბულგარეთის ძველ მუზეუმ-ქალაქ კოპრივშტიცაში დამთავრდა ხალხური შემოქმედების პირველი ეროვნული დათვალიერება.

ორი ათასზე მეტმა ნიჭიერმა ხალხური სიმღერების შემსრულებელმა, ინსტრუმენტალისტმა, მოცეკვავემ, მოქმედმა უჩვენა თავისი ხელოვნება. დიდი ინტერესი გამოიწვია გამოყენებითი ხელოვნებისა და მხატვრული ხელოსნობის პირველმა ეროვნულმა გამოფენამ, რომელიც აქ გაიხსნა.

დათვალიერების დაესწრნენ საზღვარგარეთელი სტუმრები — საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, იუგოსლავიის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მუსიკის მცოდნენი, ქორეოგრაფები, ეთნოგრაფები, მხატვრები. (საკდესი).

სოციალისტური ქვეყნებში

მთელი მსოფლიო აღფოთებულია

ბელგრადი. გაზეთი „ვეჩერნე ნოვოსტი“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო - პოლიციური მეთოდებით ვერ აღკვეთენ ზანგების უკმაყოფილებას, რომლის მიზეზიც ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური უსამართლობაა. ზანგების უკანასკნელმა გამოსვლებმა ცხადყო, ხაზს უსვამს გაზეთი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ განუხორციელებიათ შესაბამისი ღონისძიებანი იმისათვის, რომ აღმოფხვრათ სეგრეგაცია და მოქალაქეობრივი უფლებანი მიანიჭებინათ ზანგებისათვის.

ბუდაპეშტი. გაზეთი „ნეპს

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები

მკითხველები გვატყობინებენ

△ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალციხის რაიონის კულტსახლთან შექმნილი აგიტმატერული ბრიგადა. იგი ხშირად ესტუმრება ხოლმე მთებში მწყემსებს. ამ დღეებში ბრიგადა ეწვია ზეკარის მთების საზაფხულო საძოვრებს, სადაც ადიგენის საბჭოთა მეურნეობის ფერმის მწყემსები ბინადრობენ. ბრიგადის წევრებმა მიიტანეს ახალი ჟურნალ-გაზეთები, ფერმის მუშაკებისათვის გამართეს კონცერტი.

შ. შანიძე.

△ მაიაკოვსკის საკონსერვო ქარხანა კარგად მომზადებული შეხვდა ახალ სეზონს. უკვე გამოშვებულია 106 ათასი ქილა კიტრის მარინადი, მოცვის წვენი, ვაშლისა და მსლის კომპოტი.

ახალი მოსავლის ხილის კონსერვი ეგზავნებათ რსფსრ, უკრაინის, ყაზახეთის და სხვა რესპუბლიკების მშრომელებს.

გ. მჟავანაძე.

მგოსნის სახელოვნის სკოლა ემზადება

საჩხერე. (საკ. კორ.). ჩვენი სახიერადულო მგოსნის აკ. წერეთლის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავად ღირსეულად ემზადება პოეტის სახელობის საშუალო სკოლის კოლექტივი.

სკოლის ბიბლიოთეკაში მოეწყო აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა. მოსწავლეებმა გამოუშვეს დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ხელნაწერი ჟურნალი. სკოლის ლიტერატურული წრის წევრები აგროვებენ აკაკის მომსწრე ადამიანთა მოგონებებს პოეტზე. აკაკის რძალმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა სოფიო დგებუაძემ სკოლას გადასცა დღემდე გამოუქვეყნებელი აკაკის ცხოვრების ამსახველი ზოგიერთი ფოტოსურათი.

სკოლის შეკვეთით დამზადებულია მგოსნის ბიუსტი, რომელიც საიუბილეო დღეებში საზეიმოდ გაიხსნება.

პოეტის სახელობის სკოლის მასწავლებლები გამოდიან ლექცია-მოხსენებებით. აკაკის ცხოვრება-მოღვაწეობაზე. სკოლის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა გ. სადუნიშვილმა საირხეში წაიკითხა ლექცია—„აკაკი წერეთლის პედაგოგიური იდეები“.

სკოლაში გამოცხადებულია კონკურსი აკ. წერეთლის ნაწარმოებთა მხატვრულ კითხვაზე და პოეტისადმი მიძღვნილ ხელოვან ნაწარმოებებზე.

სკოლის დრამატული წრე მაყურებელს უჩვენებს „ნათელას“, „გამზრდელს“, „თორნიკე ერისთავს“, მზადდება „პატარა კახის“ დადგმა.

მედიცინა და პრაქტიკა

თვალის ძალა და სისუსტე

ყოველი ინტელექტუალური შრომა, რომელიც სკოლამდა სწავლით იწყება, დაკავშირებულია დიდ მხედველობითს დატვირთვასთან. თვალები საათობით დატვირთულია ახლო მანძილზე მუშაობით. ეს ხშირად იწვევს მოძიას —სიბეცეს, რომელიც, როგორც წესი, სასკოლო ასაკში ვითარდება.

მეცნიერთათვის დღემდე ცნობილი არ არის სიბეცის ნამდვილი მიზეზი. ამის შესახებ ბევრი წინააღმდეგობრივი აზრი არსებობს, მაგრამ საბოლოო პასუხი არ არის. ამ პასუხს კი მილიონობით ადამიანი ელის.

მოიძიის მიზეზების შესახებ ახალ ჰიპოთეზას ეხებოდა მოხსენება ვლადიმერ ფილატოვის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ოდესაში მიმდინარეობდა. ჰიპოთეზა წამოაყენა ჰელმგოლცის სახელობის თვალის სნეულებათა ინსტიტუტის თანამშრომელმა მედიცინის მეცხიერებათა დოქტორმა ედუარდ ავეტისოვმა.

მხედველობის ხარისხი დამოკიდებულია სინათლის სხივების ნორმალურ გარდატეხაზე, როცა გამოხატულება უშუალოდ ბადურაზე გამოდის, ნორმალურ თვალს სფეროსებრი ფორმა აქვს. ბეცი თვალების ფორმა უფრო ხშირად წაგრძელებულია, სავსებით მკაფიო გამოხატულება გამოდის არა თვით ბადურაზე, არამედ მის წინ.

დაახლოებით მილიონი წლის წინათ ადამიანმა თავისი თვალებისათვის ძალისდატანება იწყო ახლო მანძილზე მუშაობით. მანამდე მის წინაპრებს პრიმატების რაზმიდან წარმოდგენა არა ჰქონიათ ასეთ მუშაობაზე. დაახლოებით ოცდახუთ მილიონ წელიწადს ისინი ხეებზე დაცოცავდნენ, ხტოდნენ და ფარობდნენ, და მათი თვალები სხვადასხვა მანძილებზე სწრაფად მომართვას შეეგუა.

სიბეცის განვითარება ოპტიკური სისტემის ცვლილებათა შედეგია. სახელდობრ რა ცვლილებები ხდება მოიპიერ თვალში და როგორ ავიცილოთ თავიდან მათი დაწყება?

კიბერნეტიკის პოზიციებიდან ადამიანის ორგანიზმი რეგულირების დახშულ სისტემათა რთული კომპლექსია. ერთ-ერთი მათგანი თვალების ზრდას განაგებს.

ადამიანები შორსმხედველნი იბადებიან. მთელი ორგანიზმი რომ იზრდება, თვალები თანდათან უმჯობესდება და ჩვეულებრივად 12-13 წლისათვის ნორმალური ხდება.

თვალს კუნთები აყალიბებენ, მათ ტვინი მართავს ნერვების მეშვეობით. როცა თვალის კუნთი მუდმივი დაძაბვისაგან იღლება, ამის შესახებ სიგნალი მიდის ტვინში, და იგი პოულობს ოპტიმალურ მიზანშეწონილ ვარიანტს ახლო მანძილზე თვალების შემდგომი მუშაობისათვის. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას ან თვალის ბროლის ფორმის შეცვლით, ან თვალის კაკლის დაგრძელებით.

ახლო მანძილზე დაძაბული მხედველობა თვალებისათვის აუტანელი დატვირთვა ხდება შესუსტებული აკომოდაციის უნარის დროს, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა. ამრიგად, მიოპია ორგანიზმის შემგუებლობითი რეაქციების შედეგია. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის არახელსაყრელი ჰიგიენური პირობებისა და ავადმყოფობის გაელენა, მაგრამ მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვთ.

ბოლოვარაუ უნდა გამოვაკლინოთ ბავშვები, რომლებსაც აკომოდაციის შესუსტებული უნარი აქვთ, და ვიწარმოთ მათთან პროფილაქტიკური მუშაობა. თუ რა კონკრეტული ღონისძიებები შეეა ამ მუშაობაში, ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. შესაძლოა, თვალის ბროლზე მოქმედი კუნთის ვარჯიშმა გამოიწვიოს მისი განმტკიცება და შექმნას პირობები ახლო მანძილზე ხანგრძლივი მხედველობითი მუშაობისათვის თვალების დაეღლელად. მხედველობითი დატვირთვის შემცირება შეიძლება ავრეთვე სათვალის ლინზების გამოყენებით. არც ის არის გამორიცხული, რომ აკომოდაციის უნარზე შესაძლებელი იყოს მედიკამენტებით ზემოქმედება. მაგრამ ყოველივე ამასთან ძალიან რჩება იმის საჭიროება, რომ დაძაბული მხედველობითი მუშაობის დროს ვიცავდეთ ჰიგიენის პირობებს, რომლებშიც შედის საკმაო განთავსაც და სწორი ჯდომაც. ბევრს ნიშნავს იერეთვე ორგანიზმის საერთო გაკაქება, სპორტი.

მამაცთა ასპარეზი

მამაცთა და შეუპოვართა, ან როგორც მას უწოდებენ, ცეცხლთან მებრძოლთა სპორტს ჩვენში სახელოვანი ტრადიციები აქვს. 1937 წლიდან სახანძრო დაცვამ ოცჯერ გამართა რესპუბლიკური შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებითის სპორტში.

საქართველოს მეხანძრე სპორტსმენები საკავშირო შეჯიბრების უცვლელი მონაწილენი არიან. გვყავს ჩემპიონები სახანძრო-გამოყენებითს სპორტში. ესენი არიან **მიხეილ დარცმელია** და **ამირან სარიშვილი.**

მიუხედავად ვიწრო უწყებრივი ხასიათისა ეს სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს მეხანძრეთა შორის და დღითიდღე უფრო სრულყოფილი ხდება. სპორტის ამ სახეობის მეტი პოპულარიზაციისათვის 1959 წლიდან შემოღებულ იქნა „სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ოსტატის“ წოდება და თანრიგები.

სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა გაითვალისწინა სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ტრადიციები, მაღალი შედეგები და შეიტანა იგი ერთიან საკავშირო სპორტულ კვალიფიკაციაში. შეიქმნა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ფედერაციები.

1964 წელს ქართველმა სპორტსმენებმა კონკურსგარეშე მონაწილეობა მიიღეს შეჯიბრებაში რსფსრ პირველობაზე, რომელიც კრასნოდარში გაიმართა. ჩვენი რესპუბლიკის წარჯზავნილებს საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ, რისთვისაც დაჯილდოვდნენ რსფსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პირველი ხარისხის დიპლომით, გასულ წელს კი რკდაათმა საუკეთესო სპორტსმენმა სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

მიმდინარი წლის მაისში პირველად მოეწყო საქართველოს პირველობა ნორჩ მობალიეე მეხანძრეთა რაზმეულებს შორის. სადაც გამარჯვებული გამოვიდნენ აფხაზეთის ახალგაზრდა სპორტსმენები.

მაღე ლენინგრადში აღიმართება სსრ კავშირის პირველობის ალამი სახანძრო-გამოყენებითს სპორტში.

ამ შეჯიბრებისათვის მზადების ერთგვარ შემოწმებას წარმოადგენდა თბილისში ჩატარებული საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებითს სპორტში.

გამოვლინდნენ უძლიერესნი, დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი.

ნაკრების წევრებმა გაიარეს წვრთნა, მზად არიან პასუხსაგები შეჯიბრებისათვის. გარდა საქართველოს ნაკრებისა, საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ფედერაციის, მოსკოვისა და ლენინგრადის და მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ქართველ სპორტსმენ-მეხანძრეთა სტაბილური შედეგები იმის გარანტიას იძლევა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები წარმატებით გამოვა ამ პასუხსაგებ პაექრობაში.

ვ. ბარამიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

შემთხვევები

ბრაკონიერები შეიპყრეს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შორაპანელი ბონდო, ჯუმბერ, მევლუდ და ზურაბ კვინიკაძეები, რომლებიც ბრაკონიერობაში ადრეც იყვნენ შემჩნეულნი, სათევზაოდ ემზადებოდნენ მათ გადაწყვეტეს აკრძალული საშუალებებით მოესროთ თევზი მდინარე ძირულაში.

უკუნი ღამე იყო. ბრაკონიერებმა გამოსავალი მონახეს. სადგურ შორაპანში მატარებლის შემადგენლობა იდგა. ვაგონების ბუქსებიდან მათ ჭურდულად ამოიღეს ზეთით გაჟღენთილი ძენძი ეგრეთწოდებული ჟინჟღილის ასანთებად.

მატარებელი დაიძრა და სურამის უღელტეხილისაკენ გაემართა. ძენძშემოცლილი ბუქსები გაბურდა და ცეცხლი გაუჩნდათ. მხოლოდ რკინიგზელთა თავგანწირვამ და სიმამაცემ იხსნა მატარებელი მარცხისაგან. მოძრაობა საათნახევრით შეფერხდა.

სადგურ მარელისიდან ზესტაფონში სასწრაფოდ აცნობეს ეს ამბავი და თანაც დასძინეს, რომ ძენძის წამლებნი სადგურ შორაპნის მიდამოებში ეძებნათ.

სადგურ ზესტაფონის მილიციის განყოფილების მუშაკებმა სათანადო ზომები მიიღეს. მათ მდინარე ძირულაზე წაასწრეს ბრაკონიერებს, რომლებსაც ვაგონების ბუქსებიდან ამოღებული ორი ვედრო ძენძი აღმოაჩნდათ. დამნაშავეთა საქმე სასამართლო ორგანოებს გადაეცა.

◆

გამოფენა „1965 წლის ავეჯი“

მოსკოვი. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა საკავშირო გამოფენა „ავეჯი-65“. 13 მოკავშირე რესპუბლიკის 75 საავეჯო საწარმომ და საწარმოო გაერთიანებამ ავეჯის საუკეთესო ნიმუშები გამოფინა. „ავეჯი-65“ გამოფენაზე იქსპონირებულია ავეჯის 110 კომპლექტი და გარნიტური საცხოვრებელი ოთახებისათვის, 30-მდე კომპლექტი სამზარეულო ოთახისათვის და 130-ზე მეტი ცალკეული ნაკეთობა — მაგიდები, სკამები, რბილი ავეჯი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — საცხოვრებელი ოთახი; მარჯვნივ — სამზარეულო.

ფოტო ლ. პორტერისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).



ავტომანქანები ლატარიით

ამ დღეებში თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროენერგეტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსელიძემ წარადგინა რსფსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის მეორე გამოშვების ლატარიის 09266 სერიის № 066 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი მოქალაქე იგებს ძვირფას ნივთებს მოძმე რესპუბლიკების ლატარიის ბილეთებით.

ახლახან ამხანაგი გაფრინდა თბილისელი ვ. კობახიძე. იგი იქ მიიღებს ავტომანქანა „ვოლგას“, რომელიც მან ფურნალ-ფინანსთის ლატარიით მოიგო. ასევე ორმა ახალგაზრდა ლამელმა მოქალაქემ ჩვენი რესპუბლიკის ლატარიით მოიგო ავტომანქანები „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“.

25 აგვისტოს გაგრაში გაიმართება საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის მე-8 გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი. გათამაშდება სხვადასხვა მარკის 11 ავტომანქანა, ასობით პიანინო, მაცივარი, ტელევიზორი და სხვა ძვირფასი ნივთი.

ა. შტეინბერგი.



თევზაობა.

ფოტოტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ნაკრები ემზადება

ზაფხულში ბევრი მატჩი გაიმართა ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ჩემპიონატზე, მხოლოდ ახლახან დამთავრდა ესრ კავშირის თასის გათამაშება. დადგა დრო, რომ ალაპარაკზე კვლავ გამოვიდეს ჩვენი ქვეყნის ნაკრები.

პირველ სექტემბერს უძლიერესი საბჭოთა ფეხბურთელები შეიკრიბებიან მოსკოვში იუგოსლავიის ეროვნულ გუნდთან მატჩის წინ, რომელიც 4 სექტემბერს გაიმართება ლუჟნიკში. ამ შეხვედრაზე იმსაჯებენ პოლონელი არბიტრები ვ. სტორონსკა�sაკის მეთაურობით. 26 სექტემბერს სსრ კავშირის პირველი ნაკრები ბუდაპეშტში შეხვდება უნგრეთის ნაკრებ გუნდს. უნგრეთის დედაქალაქიდან ჩვენი ნაკრები პირდაპირ ათენში გაემგზავრება, სადაც 3 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ოფიციალურ მატჩს გამართავს თავის მთავარ მეტოქესთან ქვეყეგუფში — საბერძნეთის ნაკრებ გუნდთან.

ვინ ითამაშებს 4 სექტემბერს იუგოსლავ ფეხბურთელთა წინააღმდეგ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში.

„ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა, — თქვა საკადესის კორესპონდენტ **ვ. დვორცოვთან** საუბარში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა **ნიკოლოზ პორჩოვმა,** — ჯერჯერობით მძიმეულდება. საწვრთნელ შეკრებაზე გადაეწყვეტეთ გამოვიძახოთ **მეკარეები ლ. იაშინი** („დინამო“, მოსკოვი) და **ა. კავაზაშვილი** („ტორპედო“, მოსკოვი); **მცველები — ვ. პონომარიოვი** და **ა. შესტერნიოვი** (არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბი), **გ. რიბაროვი** („დინამო“, მოსკოვი), **ვ. მარუშკო** („ტორპედო“, მოსკოვი), **ვ. აფონინი** (არმიის სასპორტო კლუბი, დონის როსტოვი), **ვ. დანილოვი** („ზენიტი“, ლენინგრადი); **ნახევარმცველები — ვ. ვორონინი** („ტორპედო“, მოსკოვი), **გ. პუსაიზოვი** („სპარტაკი“, მოსკოვი), **ა. ფიოდოროვი** („კრილია სოვეტოვი“, კუიბიშევი); **თავდასმსმელები — ლ. ადამოვი** („დინამო“, მინსკი), **ს. მეტროველი** („დინამო“, თბილისი), **ა. ბანიშევსკი** („ნეფტჩანიკი“ ბაქო), **ვ. ივანოვი** („ტორპედო“, მოსკოვი), **ბ. კაზაკოვი** (არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბი), **მ. მესხი** („დინამო“, თბილისი).

ზოგიერთი ჩვენი წამყვანი მოთამაშე მონაწილეობას ვერ მიიღებს იუგოსლავიის ნაკრებ გუნდთან მატჩში. კეველაძე **ვ. ბანიკოვი, ა. ბიბა** და **ვ. ხმელნიცკი** ითამაშებენ ევროპის თასის ფინალურ თასის გათამაშებაში. ტორპედოელ **ვ. შირერბაკოვს** ტრავმა მოუვიდა. თბილისელი დინამოელი შეეცვალა მიმგზავრებიან. **მ. მესხი** და **ს. მეტროველი** არ გაემგზავრებიან მათთან ერთად, **ვ. ბარქაია, გ. სიკინავა** და **მ. ხურცილავა** კი თავიანთ გუნდთან ერთად გაემგზავრებიან.

ბუდაპეშტში 19 ფეხბურთელი გაფრინდება. მაგრამ 26 სექტემბრის შეხვედრას ვთხოვთ ნუ ჩათვლით გენერალურ რეპეტიციად ათენში გამოსვლის წინ. საბერძნეთის ნაკრებ გუნდთან ოფიციალურ მატჩში ითამაშებენ გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებმაც კარგად გამოჩინეს თავი ნაკრები გუნდის წინა საბრძოლო შეხვედრებში „უმაღლეს დონეზე“.

გუნდის ხელმძღვანელობას არ უჭირს მეკარეების, ცენტრალური მცველების, ნახევარმცველების, თავდასმსმელების შერჩევა. მაგრამ გვინდა, რომ თამაში გაიმარჯვონ განსაკუთრებულ მცველებმა, ძალიან ესაჭიროება ნაკრებს „ტარანის“ ტიპის ცენტრალური თავდასმსმელიც.

თუ ჩვენ მშვიდობიანად გადავლახავთ „საბერძნეთის ბარიერს“ და პრაქტიკულად უზრუნველყოფილი ვიქნებით ლონდონის საგზურით, მაშინ შემდგომ ორ მატჩში დანიისა და ფულსის გუნდების წინააღმდეგ, შეეცადებით „გამოვაწრთოთ“ ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეების დიდი ჯგუფი, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ განაპირა მცველებისა და ცენტრფორვარდის კანდიდატებს.

სხვათა შორის საბერძნეთის მატჩი რთულდება ამ გარემოებით, რომ თამაში მოგვიწევს „პანატინაიკონის“ სტადიონზე. საერთაშორისო წესებს ეს სტადიონი მხოლოდ თავისი ზომებით შეესაბამება.

— მინდორი ოდნავ არის დაფარული ბალახით. ეს ალბათ, რამდენიც ამა თმა მაქვს თავზე, — ღიმილით ამბობს მოროზოვი. ჩვენ ვთხოვეთ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის მატჩი გადაიტანოს ათენის „ოლიმპიკოსის“ სტადიონზე, სადაც კარგი მინდორია, მაგრამ ჯერჯერობით დაღებითი პასუხი არ მიგვიღია.

ალბათ ფეხბურთის მოყვარულებისაც თვის საინტერესოა გაიგონ, რომ პირველ სექტემბერს ჩვენი მეორე ნაკრები გუნდი ითამაშებს ჰანოვერში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი ნაკრები გუნდის წინააღმდეგ.

მეორე ნაკრები გუნდი მწვრთნელები **ნ. გულიაევისა** და **ი. ზოლოტოვის** ხელმძღვანელობით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წინააღმდეგ მატჩისათვის ასეთი შემადგენლობით მოემზადება: **მეკარეები — ა. რაკიტსკი** („დინამო“, მოსკოვი), **ი. აშენიჩკოვი** („პახტაკორი“, ტაშკენტი), **ვ. პოლიაკოვი** („ლოკომოტივი“, მოსკოვი); **მცველები — ვ. ანდრეიევი** და **ვ. შუსტიკოვი** („ტორპედო“, მოსკოვი), **ვ. აფონინი** (არმიის სასპორტო კლუბი, დონის როსტოვი), **ვ. სემენოვი** („ნეფტიანიკი“, ბაქო); **ნახევარმცველები — ი. სავოსტიკოვი** („დინამო“, მინსკი), **ა. ესკოვი** (არმიის სასპორტო კლუბი, დონის როსტოვი), **გ. ლოგოფეტი** („სპარტაკი“, მოსკოვი), **ს. კუტუკოვი** („ტორპედო“, ქუთაისი); **თავდასმსმელები — ბ. ალი** და **ნ. ოსიანინი** („კრილია სოვეტოვი“, კუიბიშევი), **ვ. ფედოტოვი** (არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბი), **ვ. მარქაროვი** („ნეფტიანიკი“, ბაქო) და **ლ. ადამოვი** („დინამო“, მინსკი).

(საკადესი).

◆

რსფსრ IV ზონაში

გუშინ გაიმართა რსფსრ IV ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. აი ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შედეგები:

„ენერგია“ (ზუგდიდი) — „ლორი“ (ალაგეოვანი) 1:0, „ალაზანი“ (გურკაანი) — „შრომითი რეზერვები“ (ყისლოვოდსკი) 1:2, „ბეტალერგი“ (ოსეთი) — „ოროკაძე“ (მაიკოპი) 0:0, „დინამო“ (ბათუმი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 4:2.

◆

უნივერსიადა გაიხსნა

გუშინ ბუდაპეშტის სახალხო სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა სტუდენტ-სპორტსმენთა მსოფლიო ასპარეზობა. მონაწილეობენ 38 ქვეყნის წარმომადგენლები. პროგრამაშია სპორტის 9 სახეობა. შეჯიბრება ათ დღეს გაგრძელდება. საბჭოთა კავშირიდან სტარტზე გამოვა 145 სპორტსმენი.

გუშინ ჩვენმა ფრენბურთელებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს — ვაუებმა დაამარცხეს პოლონელები 3:0, ქალებმა ასევე ანგარიშით — მონღოლები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

21 აგვისტო

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენაა ეკრანი“, 17.20 — „ერთი დღე კომკავშირულ ბანაკში“, 17.35 — მოსწავლეთათვის — მოულმემტრაციანი ფილმი, 18.05 — გადაცემა — „ლენინი ფირენციში“, 18.20 — კინონარკვევი, 18.30 — „ცოდნა“ — სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — გადაცემა — „მხატვარი რინგზე“, 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — საესტრადო კონცერტი „რიტმები, მელოდიები“, 20.45 — ახალი ამბები, 21.00 — მხატვრული ფილმი „ლიმონთის ჯო“, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 22 აგვისტოსათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — საეს-ტრადო კონცერტი (გადმოცემა ლენინგრადიდან).

რადიო

21 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 11.15 — მუსიკალური საათი ბავშვებისათვის, 12.30 — საუბარი: „უკეთ გამოეყენოთ ძირითადი და საბრუნავი ფონდები ვაჭრობაში“, 13.10 — ეკატერინა ეოკალური ეკარტეტის კონცერტი, 13.40 — სიმღერები ომი სუმაკის შესრულებით, 14.00 — კონცერტის ტრანსლაცია კიევიდან, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „რადიოარკვევი — „ბაბუკები ახალი ქალაქიდან“, 19.45 — „ბერის მარია ალასი“, 20.15 — მსუბუქი ინსტრუმენტული პიესები, 20.30 — „ბრილიანტ ტალღაზე“, 21.00 — „ძალისმიერული“, 21.15 — „შაბათ საღამოს“, 21.50 — რუსთაველის საიუბილეოდ, 23.30 — ქართული მუსიკა.

„დინამოს“ სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპ. № 2.

ტელ. 5-21-62.

21 აგვისტოს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის.

„ბრუდი“ ვორონეჟი — „ლოკომოტივი“ თბილისი

ძირითადი შემადგენლობანი დასაწყისი 18 ს. 30 წ.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში თამაში გადატანილ იქნება „ბურევესტნიკის“ სტადიონზე — დასაწყისი 18 საათზე.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

(ეკატ)

22 აგვისტოს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)

სათადარიგო შემადგენლობა. დასაწყისი 18.00 საათზე.

„ქომუნისტი“

...და მაინც მიხეილ ტალი

უკ! — ალბათ შეგებით ამოისუნთქა მიხეილ ტალის მრავალმა გულშემატკივარმა, დაინახეს ბენტ ლარსენთან მისი მატჩის მეათე და უკანასკნელი პარტიის შედეგი რომ შეიტყო. მათ შეიძლება გავუგოთ, უფრო მეტიც — შეიძლება თანავუგრძნოთ. იმიტომ რომ ტალმა, რომლის, ვგონებ, საერთოდ არც ერთი შეჯიბრება თანაბრად არ მიმდინარეობს, ამჯერად აიძულა თავისი გულშემატკივარნი მტკად ენერვიულათ.

მატჩის თვით მიმდინარეობა გვაძლევს წარმოდგენას ორთაბრძოლის დრამატიზმზე. შეხვედრა იმით დაიწყო, რომ ტალმა პარტია წააგო. მერე შეხვედრაში რვანაში აიღო, მესამე ყაიმით დამთავრა, სამაგიეროდ მეოთხე წაგებული პოზიციით გადადო და მხოლოდ ტოტის დახმარებით გადაარჩინა ნახევარქულა. მეხუთე პარტიაში ტალმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და მეორედ დამარცხდა.

ამრიგად, მატჩის პირველი ნახევრის ანგარიში იყო 3 : 2 ლარსენის სასარგებლოდ. მაგრამ ანგარიში კიდევ არაფერია. მცოდნეთა, მათ შორის ნომერ 1 ექსპერტის, — მსოფლიოს ჩემპიონ ბოტვინიკის აზრით, მატჩის პირველ ნახევარში ტალი ისე მოქმედებდა, რომ თავისი დამახასიათებელი სიმტკიცე კვლ გამოიჩინა და ვერც ერთ პარტიაში ვერ ცხადყო დამაჯერებელი უპირატესობა.

მეორე ნახევარი ტალის შეტევით დაიწყო. მან დამაჯერებელი უპირატესობა გამოიჩინა მეექვსე პარტიაში, ანგარიში გაათანაბრა — 3 : 3 და ძალიან საინტერესოდ (თუმცაღა ისევე, როგორც ლარსენმა) ჩაატარა მეშვიდე პარტია. ტალმა მატერიალური უპირატესობა მიიღო — ეტლი მხედრის წინააღმდეგ, მაგრამ პარტია გამარჯვებამდე ვერ მიიყვანა. თამაშში ინიციატივა კი უკვე მას ჰქონდა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ტალი, როგორც ხშირად აღწევს ფინიშზე, მდგომარეობის ბატონ-პატრონი ხდებოდა. მერვე პარტია ყაიმით დამთავრდა, ხოლო მეცხრეში ტალმა, აქტიურ პოზიციის რომ მიაღწია, რა-მდენიმე წარმოუდგენელი შეცდომა დაუშვა და მხოლოდ სასწაულით დაადწია თავი დაუყოვნებლივ დამარცხებას. გადადებულ პარტიაში ლარსენს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, და ტალმა თამაშის დამთავრებისას ოსტატური თამაშით ყაიმს მიაღწია. მხოლოდ უკანასკნელ პარტიაში წარმატებამ მოუტანა მას სასურველი გამარჯვება. მატჩის მეორე ნახევრის ანგარიშია 3,5:1,5. ტალის სასარგებლოდ. საბოლოო შედეგია 5,5:4,5.

რაში აიხსნება ორთაბრძოლის ეს არაჩვეულებრივი დაძაბულობა? ხომ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ბევრი მეოდნე დარწმუნებული იყო ტალის თუ არა იოლ, ყოველ შემთხვევაში დამაჯერებელ გამარჯვებაში. ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, ფიზიზლად უნდა შევხედოთ ბენტ ლარსენს. ვგონებ, სწორედ მასში უნდა ვეძებოთ მთავარი მიზეზი ტალის არადამაჯერებელი თამაშისაც რამდენიმე პარტიაში და ორთაბრძოლის დაძაბულობისაც როგორც ცალკულ შეხვედრებში, ისე საერთოდ მატჩში.

საცარია, მაგრამ ნიჰიერ ლარსენზე ისეთი შეხედულება შეიქმნა რომ იგი ძალიან საინტერესო მოჯადოკაკა, მაგრამ ექსტრა კლასის გროსმაისტერებს სერიოზულ საფრთხეს ვერ შეუქმნისო. ალბათ რამდენიმე წლის წინათ ასეთი თვალსაზრისი სწორი იყო. მაგრამ ლარსენი, ოსტატ მიხეილ იუდოვიჩის თქმით, მოძრაობაში მყოფი ადამიანია, სხვანაირად რომ ვთქვათ. ეს არის მოჯადოკაკე, რომელიც ტურნირიდან ტურნირამდე იზრდება. მაგრამ მაშინაც კი, როცა ლარსენმა საზონათაშორისო ტურნირში ვასილ სმისლოვთან, ბორის სპასკისთან და მიხეილ ტალთან პირველი-მეოთხე ადგილები გაიყო, მას მაინც სერიოზულად არ თვლიდნენ ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტად მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩისათვის.

ლარსენზე ტრადიციული შეხედულება ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა იმ პროგნოზში, რომელიც იუგოსლავ ბორისლავ ივკოვთან დანიელი გროსმაისტერის ორთაბრძოლის წინ გამოთქვა პეტროსიანმა. ერთი სამის მიმართ — ასე შეაფასა მსოფლიოს ჩემპიონმა ლარსენის შანსები ამ მატჩში. ანგარიში კი, როგორც ცნობილია, აღმოჩნდა 5,5:2,5 ლარსენის სასარგებლოდ.

შეიძლება მხოლოდ გაგვაკვირვოს იმან, რომ მატჩის მსვლელობას იგი სულაც არ გაუკვირვებია, ვინაიდან ლარსენი უთუოდ ძალიან ძლიერი გროსმაისტერია და თანაც კარგად მოეშზადა მატჩისათვის თეორიულადაც და ფსიქოლოგიურადაც.

და მართლაც, ლარსენი სხვადასხვა გზას მიმართავდა დებიუტებში, ზედიზედ აყენებდა მეტოქის წინაშე გამოცანებს, ირჩევდა ხათელ პოზიციებს, რომლებშიც ტალს უჭირდა გამოჩენა თავისი უნარი. დასასრულ, როგორც ეს ცხადი გახდა, კერძოდ, მეშვიდე პარტიაში, ლარსენსაც, როცა იგი, ტალის მსგავსად, უფსკრულის პირას ბალანსირებს ეწევოდა, როდი ეხვეოდა ძალიან თავბრუ. რომ იგი, არსებითად ზედიზედ მეორე მატჩს თამაშობდა და ძლიერ დაიღალა. ამჯერად ტალის შემოქმედებითმა ფანტაზიამ, მიუხედავად დაღლილობისა, შეძლო „ეფექტური ოფენქენა“ გამოეწვია. მაგრამ შეძლებს თუ ვერა იგი ასეთ რამეს სპასკისთან, ლარსენთან? ცხადია, შემდეგი მატჩისათვის მზადებაში ტალმა თავის ფიზიკურ მდგომარეობაზე უნდა იზრუნოს.

ტალი, ჭადრაკის დიდი ფსიქოლოგი, ლარსენთან მატჩის წინ, მე ვგონებ, ფსიქოლოგიურად ვერ შეიარაღდა. მატჩის პირველ ნახევარში ტალი ფიქრს ბორგავდა, რაღაც გარკვეულ ხაზს არ ადგა, და მხოლოდ მეორე ნახევარში მოიკრიბა ძალა. ლარსენმა კი, მატჩის წინ აშკარად რომ განაცხადა, დარწმუნებული ვარ ჩემს წარმატებებზეო, ამით ხაზგასმით აღნიშნა, რ